# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 11 თებერვალი **№ 1379**

[გ]აზეთის ფასი: წლიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ., ფასი განცხადებისა: [წვრილ]ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კაპ.

[ხელ]ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში [...] ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო[ბ]ისაში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, **11** საათიდან **1**-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.** **ტელეფონი № 372.**



ეროვნული ბიბლიოთეკა


[ქ]ვრივი ქნეინა იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 თებერვალს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის თავადის

## დავით ზაქარიას ძის ბარათაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

ტფილისის კერძო

## [ს]ამკურნალო

[ექიმ]ნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

[ექიმები ი]ღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

[...]ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — [...] საათამდე.

[...]ხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და [...]ობა ელექტრონით — 9—10 ს.

[...]ა მუდინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი[ს] 10—11 საათამდე.

[...]ვ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი [1]0—2 საათამდე.

[...]ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

[...]ამი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

[...]ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა[განი] 12—1 საათამდე.

[...]დ. მარკევიჩი სდოსტაქრო/$_2$ — 12$^1$$_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

[...]დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და [...]ესი — 1$^1$/$_2$—2 საათამდე.

[...]ი. ბეზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა [...]2 საათამდე.

საღამოთი:

[...]ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი [...]—6 საათამდე.

[...]ა. ბელოოგლოვი. — შინაგანი (სტომაქის [...]ოთვობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე[ვა] — 5—6 საათზე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

---

### კიდევ სტუდენტების დახმარების შესახებ

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ სტუდენტების დახმარების მოწყობის საქმე კვლავ მიჩუმდა. ამას წინად არჩეულს კომისიას, როგორც გავიგეთ, ერთი კრების მეტი არ ჰქონია და მაშინაც არაფერი გადაუწყვეტია. კომისიას დაევალა განიხილოს სხვა-და-სხვა პროექტი ამ საქმის შესახებ და რაც შეიძლება მალე მოიწვიოს ქართველ საზოგადოების კრება საბოლოო დადგენილების მოსახდენად, მაგრამ დრო მიდის და კი არაფერი კეთდება.

ნუ თუ ახლაც უნაყოფოდ უნდა დასრულდეს ეს აუცილებლად საჭირო დაწყება? ნუ თუ ჩვენი საზოგადოება კვლავინდებურად გულ-გრილად დასტოვებს ამ დიდი ხნის გასაკეთებელს საგანს? ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებას რამდენჯერმე მოუსურვებია სტუდენტების დახმარების საქმის მოწეს-რიგება, მაგრამ რაღაც უბედურება აფერხებს ყოველთვის ამ დაწყებას და მძიმე საგანი ისევ რჩება შეუძლებელს მდგომარეობაში!..

ჩვენ გვინდა მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება ერთ გარემოებაზე, რომელმაც უთუოდ უნდა დაგვაჩქაროს რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად. დღეს თუ ხვალ მოეწყობა კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელის საზოგადოების საქმე. თუ ჩვენს საკუთარს საქმეს—ქართველ სტუდენტების დახმარებას—ვერ მოვაწყობთ, საჭიროა დიდი მონაწილეობა მივიღოთ განზრახულს საზოგადოებაში. ამ საზოგადოების დაარსებას დიდი ხანია მოელის ადგილობრივი რუსული და სომხური საზოგადოება უეჭველია, ისინი ეცდებიან ბლომად ჩაეწერონ საზოგადოებაში და გამგეთაც უმეტესად თავიანთებს აირჩევენ. რადგანაც უმეტესი საშუალება რუს და სომეხ წევრთაგან შემოვა, მოსალოდნელია, რომ უმეტესად შემწეობა აღმოეჩინოს რუს და სომეხ სტუდენტებს. გარდა ამისა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველ სტუდენტებში მეტად დიდია გაჭირვებულთა რიცხვი, ასე რომ ბევრი დარჩება დაუხმარებლად. თუ ჩვენ ეხლავე არ გამოვარკვევთ, გვექნება თუ არა საკუთარი დაწესებულება, ქართველი საზოგადოება, იმის მოლოდინში, რომ შეიძლება რამე დაწესდეს, ახლად დაარსებულს საზოგადოებას გულ-გრილად დახვდება და ამით ჩვენის სტუდენტების დახმარების საქმესაც დიდი ვნება მიეცემა.

ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება მეტად საყურადღებოა და გვაიძულებს დაუყონებლივ დავაბოლოვოთ საქმე: გადავწყვიტოთ რომ საკუთარი საქმის გაჩენა ჯერ უდროვოა, ან და აუცილებლად საჭიროა. მაშინ ჩვენს საზოგადოებას თავისუფლად შეეძლება გამოარკვიოს საქმის მდგომარეობა და იმის მიხედვით მოიქცეს. თორემ ეხლა საქმე გამოურკვეველია, საზოგადოება კიდევ მოელის და ვაი თუ ამ მოლოდინში მეორე საქმეც გაეპაროს ხელიდან!..

ჩვენდა საუბედუროთ, კერძო კრებები და კომისიები ვერ ახერხებენ, როგორც სჩანს, საქმის სასურველად დაყენებას, ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენებურმა ორმა დაწესებულებამ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ და ტფ. გუბ. თავად.-აზნაურობ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტმა უნდა განიხილონ ეგ საჭირო საქმე და გარდასწყვიტონ: შეიძლება თუ არა ამ საზოგადოებებთან მოეწყოს ქართველ სტუდენტების დახმარების საქმე? ამ საზოგადოებათათვის არა ერთხელ მიუმართავთ ქართულ გაზეთებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ესენი, რაღაც გაუგებარ მოსაზრებათა გამო, არ ჰფიქრობენ ამ საქმეს მიაქციონ ყურადღება. ეხლა საგანი თხოულობს დაუყოვნებლივს გადაწყვეტას და ვიწვევთ ხსენებულ საზოგადოებათა გამგეთ—დაეხმარონ ქართველ საზოგადოებას განზრახულ საჭირ-ბოროტო საკითხის გადაწყვეტაში.

---

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 თებერვალი.

**ხარკოვი.** ხორბლით ვაჭრობა მარჯვედ მიდის. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 4$^1$/$_2$%-დან 4%-მდე.

---

## ფელეტონი

### შემთხვევა

(კატულ მენდესი)

[...]ემი საშინელის ტკრციალით ეჯახა ბრა[...]და მისი ვეება კორპუსი სულ დაიშალა. [...]ლი საგრძნობელია. ზღვა სრულიად [...]ნარებული იყო. წყალი ნელა და მე[...]იურად ჩადიოდა ტრიუმში და გემი [...]თან, დინჯათ ზღვის სიღრმისკენ მი[...]ოდა, იმალებოდა. ტუმბოების წყლის [...]ვის იმედი ტყუილი-ღა იყო: ისინიც [...]ულისკენ მიდიოდენ. წყალი ისეთის [...]თ შეჩქრიალებდა გემში, რომ ყოვლად [...]ლებელი იყო მისი შეჩერება: დაღუპვა [...]ენელი იყო. საკვირველია: აუჩქარე[...], ნელა, დინჯათ, აუშფოთებლად [...] გემი წყნარა ქვეითკენ, ასე რომ [...]ლად შესაძლებელია უკანასკნელი წა[...]კი გამოიანგარიშოს კაცმა, თუ როდის [...]ქება გემი ზღვის სიღრმეში. ამიტომაც [...]ც მგზავრებს ეშინიანთ და აღარც [...]ეს. ქვიშიანი ნაპირი ახლო იყო და, [...]ს მადლით, ჰაერიც დამტკბარი: იყო [...]ო, წყნარი, ზამთრის ტაროსი. ეს გა[...]ებაც ხელს უწყობდა მგზავრების ნა[...] გასვლას.

[რო]დესაც პირველმა შიშის ზარმა უვნე[...] ჩაიარა, მხდალზე უმხდალესიც კი [...]ი და გამბედავი შეიქნა: დარწმუნდნენ, [...] შველა ძნელი არ იყო.

წარმოიდგინეთ, ერთის წამის წინეთ რომ ქალებს წივილ-კივილი გაჰქონდათ, თრთოდნენ და კანკალობდნენ, ეხლა გულ-გრილად შესცქეროდნენ გემის მიმომავალს. გაალეს თავისი ზანდუკები და ჩემოდნები; ამოალაგეს, რაც შიგ ძვირფასი რამ ნივთები ჰქონდათ და საკეში გადიწყვეს, დანარჩენი კი გემზე მოაბნიეს, ასე რომ შორიდან ეს არეულ-დარეულობა მოაგონებდა ბაზრობას, სადაც გასასყიდად გამოაქვს ყველას თავისი საქონელი და კივილ-კიჟინით ყურებს უჭედენ მაყურებლებს. იქნება ამ ოინით მაინც ვინმე მოვიტყუილოთო. ზოგს თავიანთი ბალღები ჰყავთ ხელში და დიდის ინტერესით აღევნებენ თვალ-ყურს ნაპირზე მიმავალს, ჩვენ ბოლოს გველირსება გასვლაო. ზოგი ეს არის ნავში ჩაჯდა, ზოგი კიბის ქვედა საფეხურზე დგას, ზოგი—ზემოზე, ზოგი ჯერ კიბეზედაც არ შემდგარა, ერთისიტყვით, მგზავრები ჯაჭვივით არიან ერთმანეთზე გადაბმული—ეს ასეა, ამგრამ მაინც ყველას მოქმედებაში ერთად რაღაც მეტოდიურია, წყნარი, დინჯი, დარბაისლური, თითქო ომნიბუსს უცდიდნენ, შიგ ჩასხდენ და წავიდნენ.

ამ საკვირველს და საოცარს სურათს ტკბილად ეალერსებოდა მოწმენდილ ციდან დიდებული, თუმცა ზამთრის ცის მნათობი, რომელიც უხვად უგზავნიდა თავის მოკაშკაშე ნათელს. ესტუმრა გემს ნაპირიდან ფრინველთ გუნდი, თითქო რაღაც საოცნებო განზრახვა აქვთო. მხოლოდ მარტოდ-მარტო ჟან-დე-მოვერი იდგა გადაწოლილი ანძაზე და გულ-გრილ ღიმილით გადასცქეროდა ცას, ოკეანეს და გემის მომავალ ბედს!

ჟან-დე-მოვერი იყო ერთი იმ ბედნიერთაგანი, რომელთაც ყველგან და ყოველთვის მეტად უღიმის ბედი: იყო ერთობ ლამაზი, ქალებისათვის სატრფიალო თაიგული, კარგის შთამომავლობის, მდიდარი,—ერთი სიტყვით, შეეძლო სავსებით მოეკლა ყველა თავისი სურვილი და გულისთქმა ქალებთან, თუ კი ის ამას განიზრახავდა. ყველას ჰშურდა, ყველას უნდოდა მის ადგილზე ყოფნა: მისი მოტრფიალე ბანოვანები, მისი ეტლები და მისი ცხენები მთელ ქალაქში იყო განთქმული. ეს გარემოება კიდევ უფრო უწყობდა ხელს მის ბედნიერებას, რადგან ბედნიერება მხოლოდ მაშინ არის სავსებიანი, როდესაც შურს იწვევს.—არც მარტო კავალერობა და კეკლუცებთან ახლო ტრიალი იყო მისი როლი. ის იყო ვოლონტერად 1870 წელში და მამაცურადაც იბრძოდა, როგორც ოფიცერი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისი გარემოება ამას მოითხოვდა, არა, იმიტომ, რომ მას გაგიჟებით უყვარდა თავისი სამშობლო და მთელი თავის არსებობით თანაუგრძნობდა მის უბედურებას.

ეს იყო კაცი, გულის მქონი, გონებით განვითარებული. თუმცა ბანოვანთ უსამზღვრო ტრფიალებაში ტკბილად ცურავდა, და ცხოვრების ქარტეხილიც მას თავის მორევისაკენ ეზიდებოდა. მისთვის არ იყო გაუგებარი მაღალი აკორდი, წმინდა ენტუზიაზმი, შვენიერება; მუსიკას ისმენდა, სურათს უცქერდა, თუ დიდებულ ნაწარმოებს კითხულობდა, ის სავსებით გატაცებული იჭროდა სულით და გონებით სადღაც სიჭაბუკის საოცნებო ბედნიერ სივრცეში. ის ბედნიერებას მარტო იმაში კი არ ხედავდა, ვისმეში გაკვირვება ან შური აღეძრა, ან სინიდისისაგან ხელ აღებულ მანდილოსნების ხვევნა-კოცნისთვის მიექცია ყურადღება. იმას სწამდა შვენიერება, სიკეთე, ქალის ქველობა და ვაჟის კეთილშობილება, და არც სკეპტიკად სთვლიდა თავის თავს. და ეს სისულელემდის კეთილი კაცი იყო მაინც ფენომენი ბედნიერთაგან ყოველ შემთხვევაში.

იმ წამს, როდესაც გემი ბრაგას მოხვდა, ის, წმიდა გრძნობით გარემოცული, ტკბილ ოცნებაში იყო; ის იყო გართული ფიქრში თვის საცოლეზე, რომელთანაც მიეშურებოდა იტალიაში.

სანამ ის გასცქეროდა ცას, ოკეანეს და ზღვის ფსკერისკენ ნელად მიმავალ გემს, ნავი მეორედ გაბრუნდა ნაპირიდან მგზავრების გადასაყვანად. ჟან-დე-მოვერმა გადადგა ფეხი წინ, რომ მგზავრებს შეერთებოდა, მაგრამ—მხოლოდ ერთი ნაბიჯი, და, შეფიქრიანებული, უცებ შედგა.—მგზავრებით სავსე ნავი გაეშურა ნაპირისკენ.

„ნუ თუ ასე ტკბილია ცხოვრება, ადამიანმა განმეორებით უცქიროს მას, თუ

**პეკინი.** ჩინეთის სამეფო ოჯახმა გადასწყვიტა და დათანხმდა დასაჯოს დამნაშავე წარჩინებულნი, რომელნიც ელჩებმა დაასახელეს; მხოლოდ ჩჟაო-ჩჟუ-ჩჟაოსა და იუნიენის შესახებ სამეფო ოჯახი თხოულობს, რომ იმათ თავები არ მოჰკვეთონ, არამედ ჩამოახრჩონ. ელჩებმა შეიწყნარეს ეს თხოვნა. ამ რიგად, საკითხი გადაწყდა და ეხლა ექსპედიციის გაგზავნა საჭირო აღარ არის.

**სოფია.** რადოსლავოვის გაზეთი პროტესტს აცხადებს მსროლელთა საზოგადოების აკრძალვის გამო და ამბობს: „ვინც ამ მოძრაობას წინააღუდგება, ის დამხობილ იქნება. არც ერთს უცხოელ სახელმწიფოს არ შეუძლია და ნება არ აქვს ჩაერიოს ბულგარიის შინაურ საქმეში“. კარაველოვის მომხრეთა გაზეთი აფრთხილებს მთავარს, სახელმწიფო მოღვაწეთ და ხალხს, რომ მაკედონიის არეულობა საშიშია როგორც ბულგარიის ერისთვის, ისე მაკედონიისათვისო.

**ლონდონი.** ნიუ-იორკის გაზეთები იტყობინებიან, რომ ჩინეთის მთავრობა დაჰკითხებია ნიუ-იორკის ბანკებს: შეიძლება თუ არაო ამერიკაში აიღოს ჩინეთმა სესხი სამხედრო საზღაურის გასასტუმრებლად, რადგანაც ჩინეთის მთავრობას ეშინიან ევროპაში სესხის აღებას ცუდი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყვესო. ამბობენ აგრეთვე, რომ „Standart Oil Company“-ს წარმომადგენელთ, რომელთაც დიდი ინტერესები აქვთ აღმოსავლეთ აზიაში, მოლაპარაკება აქვთ ჩინეთის კონსულებთან საჭირო სესხის მოპოვების შესახებ ხსენებულ სინდიკატის შემწეობით.

**პეკინი.** ჩინეთის იმპერატორმა მხოლოდ დღეს დაამტკიცა სახელმწიფოთა ელჩების მიერ შედგენილი სია იმ პირთა, რომელნიც დასჯილი უნდა იქმნან. იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ფორმალურად იქნება აღნიშნულ იმპერატორის თანხმობა წარჩინებულთა დაუყონებლივ დასჯის შესახებ, ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

9 თებერვალი

**კონსტანტინეპოლი.** რკინის გზების მატარებელთა მიმოსვლა, რომელიც შეწყდა დიდის თოვლისა გამო, ისევ დაიწყო.

ინგლისის ელჩმაც გააფრთხილა ოსმალეთის მთავრობა მაკედონიის საქმეებისა გამო და ურჩია—სასტიკად იმოქმედოს დამნაშავეთა წინააღმდეგ, მაგრამ მიიღოს ზომები უდანაშაულო მცხოვრებთა დასაცველად.

**ვენა.** როგორც იტყობინებიან, სერბიის ქალაქში ხელის მოწერა გაიმართა მილანისთვის ძეგლის დასადგმელად ფულის მოგროვებისათვის; ნიშში უკვე 10,000 დინარი შეჰკრიბეს.

**ლონდონი**. დეპუტატთა პალატა. დილლონის დაკითხვაზე კრანდორმა სთქვა, რომ ინგლისის ელჩს პეკინში არაფერი შეუტყობინებია მთავრობისათვის იმის შესახებ, ვითომც უცხოელთა ელჩებს თანხმობა გამოეცხადებინოთ, რომ ზოგიერთ დამნაშავე წარჩინებულთ ნება მიეცეს თავის თავის მოკვლისა.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ინდოეთის სტატ-სეკრეტარმა გამილტონმა განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო გრაფ ვალდერზეეს მიერ გამოცემული ბრძანება, რომელშიაც ნათქვამიაო, რომ, რადგანაც ჩინეთთან მოლაპარაკების საქმე სასურველად ვერ მიდისო, საჭიროა კვლავ გაიგზავნოს ექსპედიციები შუაგულ ჩინეთისაკენო. მთავრობამ მოითხოვა მაშინ—შეატყობინონ-რა საგანი ექნება ექსპედიციებს, და როდესაც ამაზე მიიღებს პასუხს, მხოლოდ მაშვინ გაუგზავნის გენ. გეზლის შესაფერს ბრძანებას. ჯემს ლოტერი ეკითხება მთავრობას: მიღებულია თუ არა ზომები, რომ ინგლისის ჯარი არ დაიძრას ადგილიდან სანამ ხსენებული პასუხი არ მოვაო! გამილტონმა უპასუხა, რომ ჩინეთის ზოგიერთ ადგილებში უწესოება არ მოსპობილაო და სამხედრო წეს-რიგი ჰსუფევსო და ამიტომ ლოტერის დაკითხვა უადგილოაო.

**ნიუ-იორკი.** ფინანსიურ წრეებში უსაფუძვლოდ მიაჩნიათ ხმა, ვითომ ჩინეთს ამერიკაში უნდოდეს სესხის აღება. რადგანაც ბოლოს დროს შეერთდნენ ფოლადის ყველა საწარმოებელი საზოგადოებანი და რადგანაც შეერთებულს საქმეს დიდი ფული დასჭირდა, ნიუ-იორკის ბანკებს მცირე თანხა დარჩათ; ასე რომ მათ არ შეუძლიათ სესხის გაცემა არც ეხლა, არც ახლო მომავალში.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა დანიშნა პეტერბურგის ბირჟის ფონდის განყოფილების ნამდვილ წევრებად: პეტერბურგის ბანკის თავმჯდომარის ამხანაგის და „როსიას“ დამზღვევ საზოგადოების გამგეობის წევრი უტინი, ვაჭრობის და მანუფაქტურის საბჭოს წევრი სტატსკი-სოვეტნიკი ბარონ გინც ბურგი, ტულის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრი მასლიანიკოვი, ვარშავის ბანკის განყოფილების დირექტორი ზელინსკი, ნობელის ამხანაგობის გამგეობის დირექტორი ნობელი, ოლგაკამის ბანკის დირექტორი მუხინი, საბანკირო სახლის ლამპეუეიხარტის წარმომადგენელი, პეტრკოკინოს ბანკის წარმომადგენელი, ჩინეთ-რუსეთის სახელმწიფო ბანკის პეტერბურგის კონტორის დირექტორი ბარეი, სამთო-სამადნო უწყების წარმომადგენელი ჟუკოვსკი, ჰოფმაკლერი გეტციგი, ბირჟის მაკლერები: გროტენი და ფანდერფიტნი, საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის წევრი და გამგე პომერი და საერთაშორისო ბანკის გამგეობის დირექტორი შლიაკოვი.

**სტანბერტონი.** ბოტას ჯარიდან გამოქცეული ამბობს, ვითომც ბოტას გამოეცხადებინოს თავისიანებისათვის, რომ იმათ იარაღი არ უნდა დაყარონ. როდესაც ბიურგებერმა უპასუხეს, რომ მათ არ შეუძლიანთ ბრძოლა, რადგანაც ინგლისელებმა წაართვეს მას საქონელი და რადგანაც სურსათი თითქმის გამოილია, ბოტამ უპასუხა: „ღმერთი მოგცემთ საშუალებას ბრძოლისათვისო“.

**კაპშტადტი.** დევეტი, მას შემდეგ, რაც გადავიდა დეაარის ჩრდილოეთით მდებარე რკინის გზაზე, მიბრუნდა დასავლეთისაკენ, მაგრამ პლუმერმა აიძულა იგი წასულიყო ჩრდილოეთისაკენ, სტრაიდენბურგის მხარეზე. 6 თებერვალს დევეტი იმყოფებოდა მდ. ორანჟეს მახლობლად; მისი ჯარები რამდენიმე რაზმებად, როგორც სჩანს, მიემართება გრიკუალანდვესტისაკენ. პლუმერი მათ მისდევს. ჰერცოგის რაზმმა, რომელიც შეესია კაპის ახალშენს, დასავლეთიდან უკან დაიხია იმავე მიმართულებისაკენ.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება კლერკდსდორპიდან: ,,მთელის ოლქის დაზვერის შემდეგ მეტუენის რაზმი მოვიდა აქ. ვოლმარანსშტატის გაღმა ნაპირას გარტვენსფონტენთან იგი შეეხეჩა 1400 ბურს გენერლებ დევილიესა და ლივენბურგის უფროსობით. ბურებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქმნენ. ინგლისელების ზარალი: 3 ოფიცერი და 13 ჯარის კაცი მოკლულია, დაჭრილი—5 ოფიცერი და 29 ჯარის კაცი. ბურების ზარალი დიდია; მათ დასტოვეს 18 მოკლული‘‘.

**კაპშტადტი.** თეთრ ტომის წარმომადგენელთა შორის კიდევ აღმოჩენილა ორი შემთხვევა შავი ჭირის ავადმყოფობისა.

**იოჰანესბურგი.** ღამით ბურებმა დაანგრიეს რკინის გზის ხიდი კლიგრივერთან.

მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწ… როდესაც მათ ხელთ იგდეს ვაგონებ… სურსათი; გაძარცული მატარებელი… წვეს და შემდეგ წავიდნენ.

**სოფია.** სოფიის მსროლელთა საზოგადოების 2200 წევრმა გაზეთების საშუალ… გამოაცხადა პროტესტი ხსენებულ ს… გადოების დახურვის წინააღმდეგ, რომ… მოხდა, როგორც ისმის, მხოლოდ ზ… ერთ დიპლომატიის წარმომადგენელის… გავლენით. ამ პროტესტით ხალხს იწვ… იბრძოლონ სახელმწიფო ინტერესებისათ… რომელთაც საფრთხე მოელით.

**ტამბოვი.** ამ დღეებში აქ მთელი ო… ხი მოიწამლა დოშით; დედა და სამი… შვი საშინელ ტანჯვის შემდეგ გარდაიც… ლონ: ორი მამა-კაცი გადაარჩინეს.

**პეკინი.** პრინც ცინსა და ლიხუნ-ჩ… მოუვიდათ დეპეშით სასახლისაგან მოწ… ლობა—შეატყობინონ ელჩებს, რომ გ… ქვეყნებულია ბრძანება შესახებ კარის… ცების დასჯისა. თანახმად სახელმწიფო… მოთხოვნილებისა, ტუნ-ფუსიანს ახდიან… რსებას; პრინცი ტუანი და ჰერცოგი ლ… გაუბედურებულ იქმნებიან და გაიგზავ… ან დასასჯელად. პრინცმა ჩუანმა იუქ… მა და ჩჯაო-ჩჯო-ჩჯიაგომ, ამ განჩინებით… ვები უნდა მოიკლან, ხოლო ხეიუ ჩჯ… იუხსიენს და ჩჩშინს თავს მოჰკვეთენ.

**პეკინი.** გრაფმა ვალდერზეემ გადასდო… სპედიცია მას შემდეგ, რაც ჩინეთის მ… რობა თანახმა გახდა ელჩების მოთხოვ… შესახებ კარის კაცების დასჯისა.

**ლონდონი.** ,,ტაიმს‘‘-ს კაპშტადტ… ატყობინებენ, რომ პოლკოვნიკ შერნბ… კერს მიუმართავს საზღვარზე მცხოვრებ… მანელებისათვის, რათა ისინი, შეუერთ… ჯარებს ახალშენის დასაცველად. ამის შ… გერმანიის უმთავრესმა კონსულმა გამ… განცხადება, რომლითაც იგი ურჩევს ყ… გერმანელ ქვეშევრდომთ დაიცვან სას… ნეიტრალიტეტი. შენრბრუკერის პრო… მაცია მიმართული იყო გერმანელებისა… მაგრამ, როგორც ისმის, იგი ეხებოდა… ლოდ იმ გერმანელებს, რომელნიც ინგ… სის ქვეშევრდომნი არიან. საზღვარზე გ… მანიის ქვეშევრდომთა რიცხვი მცირეა.

(სადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდა…

☼ გერმ. გაზ. «ფრანკფურტე ცაიტუნგ… კაპშტადტელ კორესპონდენტს მოჰყავს რამ…

---

როგორ მოჰყვება დღეს ღამე და ღამეს—დღე, ამ უკუნითი უკუნისამდე უცვლელს და დაუსრულებელს წესს? გიცნობს ქვეყანა, ეშურები ყველას, აკვირვებ ყველას; ეწაფები ბაგეს, რომელიც ბევრს სხვასაც უგემებია; წაგიგია ფული, მოგიგია; იქვე გიჟურ ჟინის მოსაკლავად პეშვით ოქრო გადაგიბნევია! ნუ თუ ყველა ამას რაიმე ფასი აქვს?“

მოაგონდა, როგორ ამთქნარებდა ბალეზზე, როგორ ეხვეოდა ბანოვანებს! „რა საკვირველია, არის ცხოვრებაში ტკბილი წამებიც და მაღალი, სულიერი მხიარულება, მაგრამ ყველა ეს მას ხომ სხვებზე უფრო სავსებით უგემებია, გამოუცდია, უნახავს და უგრძვნია, მაგრამ მაინც ყველა ეს მას რომ არ აკმაყოფილებს, ყველა რომ ერთფერია, ერთგვარია!.. შიში, სიყვარული, ფანტაზია, ოცნება,—ნუ თუ ამაზე მეტი არა არის-რა უფრო მიმტაცი, მიიზიდონ და უკეთესს ატმოსფერაში გადაიტანონ ადამიანი! თან თუმცა გვეჩვენება ჩვენ შთაბეჭდილების და მოვლენის სხვა-და-სხვაობა, მაგრამ მაინც ყველა მათი გავლენა ცალმხრივია და დიდი-ხანია შეტყობილიც გვაქვს! მაშ რა დაგვრჩა წინ?“

სანამ ამ ფიქრებში იყო გართული ჟან-დე-მოვერი, ნავი მეოთხედ ემზადებოდა ხალხის გადაყვანას. გემზე დარჩნენ ორი თუ სამი მგზავრი და ზღვაოსნები. ჟანი ადგილიდან არ იძვროდა, ის ისევ ანძაზე იყო გადაწოლილი და გულ-დამშვიდებით დასცქეროდა, თუ როგორ მეთოდიურად, ნელნელა მიდიოდა გემი ფსკერისკენ ამ საოცნებო და სახარბიელო მზის სხივებზე.

რა სანატრელი იქნებოდა, ხვალე რომ გუშინდელს დღეს არ ემსგავსებოდეს?! საქმის მეორედ ხელის მიყოფა, საქმის თავიდან დაწყება. ვინც მიდის წინ, ის უკან ბრუნდება. ნუ თუ ხელმეორედ უნდა გამოსცადო ბედნიერება, რომელიც კაი ხანია, გიგემებია? რადა? ერთ და იმავე წიგნის კითხვა მოგწყინდება, რაც უნდა საინტერესო იყოს!.. განმეორება რვეულის, გადაფურცლვა წიგნის კაბადონების, რომ ასჯერ ერთი და იგივე მონახო, —ოჰ, რა მოსაწყენია“!... მწუხარებით ამბობდა ჟანდე-მოვერი, რომ „ამ ხანში მას ახალი სანახავი აღარა დარჩენოდარა! მისი საცოლეც კი, რომელიც მას მეტად გატაცებით უყვარს, ისიც კი, მეუღლე რომ შეიქმნება, ისეთივე გახდება, როგორც ყველა სხვა მისი მსგავსთაგანი და არც არაფრით არ იქნება მათგან განსხვავებული; ქორწილის დღესაც კი ის იტყვის და გაიგონებს იმავე სიტყვებს, რაც წინეთ ათასჯერ უთქვამს და გაუგონია! ან-და არის განა, მართლა, ქვეყანაზე პირველი უმანკო, უბიწო კოცნა? მაინც რა ბოლო აქვს სიცოცხლეს? სიკვდილი!.. რასაც მეტს ვმხიარულობ, იმის განგრძობა კიდევაც რომ შეიძლებოდეს, მაინც საშინელი მწარე და მწვავეა ფიქრი იმაზე, რომ ეს სიხარული ასე მსწრაფლ წარმავალია. განა არსებობს ის, რამაც თვის თვით არსებობა უნდა დაკარგოს?! ბედნიერების საგანი მისი დაუსრულებლობაა! მაშასადამე, არ ყოფილა ბედნიერება დედამიწაზე! საკვირველია ჭეშმარიტად, რომ მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთის ხვევნაში, ალერსში, ტრფიალებაში ნეტარებას გრძნობენ და ხედვენ და იმავე დროს ძალიან კარგად იციან, რომ დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან ისინი საზიზღარ რამ სანახავ ჩონჩხებად გადიქნებიან! სიკვდილი, როგორც გუშაგი, კარებთან დგას, რომეო და ჯულიეტას შეყრის დროს! სატრფიალო დუეტს ბულბულის გალობა კი არ შესწყვეტს, არამედ სასაფლაოს ზარნაშოს ბოროტ-მომასწავებელი კივილი! მაშ, მითხარით, რა ფასი აქვს მოღვაწეობას? რა შედეგი მოჰყვება მას? რა არის უაღრესი თავდადებულობა? სამწუხაროდ—მხოლოდ ის, რომ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცონ, რომ ყველა ეს ადვილად დაივიწყება! დიახ, ყველა ადვილად დაივიწყება! თურმე ერთობ ცხადი ყოფილა ცხოვრების არარაობა!

გმირს და მხდალს, მდიდარს და მათხოვარს, ჭკვიანს და სულელს ყველას საფლავი ასწორებს!

ერთი დღით ადრე მოვკვდები—თუ გვიან, სულ ერთი არ არის? ბოლო ხომ ერთია ყველასთვის?“

ჟან-დე-მოვერის აზრით, სულის სიმდაბლეა—ადამიანი ცხოვრებას გაექცეს და უარესობის სტიქიონში თავის ნებით ჩაინთქეს. ის ვერ შეუპყრია ვერც იმ საშინელ ფიქრს, რომლის შედეგია თავის მოკვლა… გრამ ეხლა, როდესაც საიდუმლო ბედი… რა თავს დასძახოდა, მსწრაფლ მოელო… ლო მისთვის ყველაფერს, რაც უიმისოდ… მაინც მალე უნდა გამქრალიყო და, გა… კუთრებით-მაშინ, როდესაც მას პირის… სავსე ფიალას აწოდდა ეს ბედისწერა… მისგან კი მარტოკა ხელის გაწვდენა ლა… საკმაო, რომ განსვენებას და დავიწყ… მისცემდა! კაცი განა მოვალე არ არის… დისწერას დაემორჩილოს? განა ნება… აქვს ხელოვან მცურავს, ლეტას მორე… ჩავარდეს და უკან მოუხედავად ფსკერის… დაეშვას?

ყველა ზღვაოსნები გადასხდნენ ნავ… გემზე აღარავინ არ დარჩენილა. კაპიტ… რომ კიბეზე ჩადიოდა, ერთი კიდევ შე… ავლო გემს თვალი, ზედ ხომ არავინ დ… ჩაო, მაგრამ ამ დროს ჟან-დე-მოვერი თ… ლიდან მიეფარა მას შეკრულ ტომრე… გადაღმა. როდესაც ნავი გაშორდა გ… და სიშორის მანძილში მიიმალა, ჟანმა… გარას ცეცხლი მოუკიდა, შეეხვია პლედ… და მზეზე წამოწვა.

წყალი თანდათან ზევით ადის. აი, ბო… ტსაც მისწვდა! ჟანმა ერთი კი შეწურა… ჰები, თითქო ზურგიდან დიდი ტვირ… მოიშორაო და სულ გაკმენდილი მოელ… და ბოლოს, თითქო გახარებული მით, რ… ასეთს კეთილ „შემთხვევას“ დრო შე… წრო!

ა. ქ—მე…

ნამე ადგილი იმ სიტყვისა, რომელიც წარსული წლის დამლევს გენერალ ქრისტიან დევეტს უთქვამს კლერნსდორფში.

«უნდა გიყვარდეთ მოყვასნი თქვენნი, — უთქვამს დევეტს, — მაგრამ ინგლისელები კი უნდა გძულდეთ. მე მაინც ამ აზრის თანახმად ვზრდი ჩემ შვილებს. ამბობენ, რომ ინგლისელებში ორიოდე კაი კაცი მაინც უნდა იყოსო, მაგრამ ისინი, ალბათ, დიდი ხანია რაც დახოცილან, რადგანაც ამ სოფლად ჩემ დღეში არ შემხვედრია კეთილი ინგლისელი.

მე მრწამს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება უსათუოდ. დეე ინგლისელებმა გაოხრონ, გაავერანონ ჩვენი ქვეყანა რამდენიც შეუძლიანთ; ის ისევ აყვავდება, რადგანაც კაპიტალისტები თითონ იზრუნავენ ამისათვის. კაპიტალისტები უსათუოდ მოვლენ ჩვენთან: თაფლი იყოს, თორემ ბუზი მორიდანაც მოვა. ჩვენ ქვეყანაში ბევრი თაფლია ამ მგრალი ბუზებისათვის: მე ვამბობ ოქროს მადნებზედ.

ინგლისელების დამორჩილებას, სჯობია, რომ თუნდ ათი წელიწადიც ბრძოლაში გავატაროთ. ერთხელ ინგლისელი გენერლები 26,000 კაცით მომდევდნენ; მე მყვანდა სულ 2000 კაცი, მაგრამ მაინც პირში ჩალა გამოვავლე და წაუვედი ინგლისელებს ხელიდან. და ეს ყოველთვის ასე იქნება; ცოცხალს ისინი თავიანთ დღეში ვერ დამიჭერენ. თუ ვინიცობაა, მომკლავენ, ამითაც ვერას მოიგებენ და ვერას გახდებიან, რადგანაც მე დანიშნული მყავს კიდეც ჩემი მოადგილე.

კაპის ახალშენის მცხოვრებლებმა, — უთქვამს ბოლოს დევეტს, — ან უნდა ჩვენი მხარე დაიჭირონ, ან ინგლისელებისა, სხვანაირად მოქცევა არ შეუძლიანთ.»

✿ როგორც დეპეშებმა გვაუწყეს, დევეტი გადავიდა კაპის ახალშენში. გარღვია რა 16 და 17 იანვარს ინგლისელი ჯარების წრე, დევეტი გაემართა სამხრეთისაკენ, სმიტფილდში. იმას გამოუდგა 7 ინგლისელი რაზმი, რომლებიც სცდილობდნენ, რომ დევეტი თავისი რაზმით აღმოსავლეთისკენ, ორანჟეს მდინარესთან მიემწყვდიათ, სადაც სხვა ინგლისელი რაზმებიც ელოდნენ; ამნაირად, ბურების განთქმული გენერალი ორ ცეცხლს შუა უნდა ჩავარდნილიყო, მაგრამ ის დროზედვე მიჰხვდა, უცებ გაბრუნდა სმიტფილდისკენ დასავლეთით და ამნაირად ასცდა ინგლისელებისაგან დამზადებულ მახეს. დევეტი წავიდა ორანჟეს მდინარისკენ და ისეთ ადგილას გავიდა ამ მდინარეში, სადაც ინგლისელები არც კი მოელოდებოდნენ, შევიდა კაპის ახალშენში და მიადგა ქალ. ფილიპსტოუნს, რომელიც 50 ვერსის მანძილზე სდევს ორანჟეს მდინარიდან. მაგრამ დიდი რაზმები მიეშველნენ ამ ქალაქს და დევეტმა დასავლეთისაკენ მიიწია. კაპის ახალშენში შესული ბურების სხვა რაზმები, როგორც იუწყებიან დეპეშები, დევეტთან შეერთებას ცდილობენ.

ინგლისური კონსერვატიული გაზეთები არწმუნებდნენ, რომ ბურებს კაპის ახალშენიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ სდევნიანო. მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ბურებს ინგლისელი იომანრის რაზმი ტყვედ წაუყვანიათ ვილაუმორთან. სჩანს, რომ ბურები ჯერ კაპის ახალშენში ყოფილან და ჯერ არ გამოუდევნიათ იქიდან. ამას გარდა ცნობა მოსულა, რომ ბურების რაზმები ფრასბურგის ოლქშიაც ჰმოქმედობენ. ცხადია, რომ, მიუხედავად რამოდენიმე წვრიმალი გამარჯვებისა ინგლისელების მხრივ, ბურები ჯერ ძალიან მაგრად არიან კაპის ახალშენში.

✿ ფრანგული გაზეთი «ჟურნალ დე დებააში» დაბეჭდილია წერილი შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიან დევეტის შესვლას კაპის ახალშენში.

«კაპის ახალშენში, — ამბობს გაზეთი, — ინგლისელებს იმოდენივე ურიცხვი მეციხოვნე ჯარის რაზმები დასჭირდებათ, რამდენიც დასჭირდათ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკაში დასაყენებლად. მხოლოდ ამოდენა ჯარი ლორდ კიტჩენერს არა ჰყავს ხელთა; ვერც თუ ინგლისის მთავარი შტაბი მოახერხებს ხელათ მოაწყოს და დააწესოს ისეთი სამხედრო წეს-რიგი, რომელიც საჭიროა ამ დიდი და მძიმე საქმისათვის»

შემდეგ გაზეთი იხსენებს იმ გარემოებას, რომ კაპელი ბურები პირდაპირ ცხადად არ იჭერენ შემოსეულ ბურების მხარეს და იმ აზრს გამოთქვამს, რომ ეს გარემოება უფრო გაუჭირებს საქმეს ინგლისელებსაო:

»ინგლისელი მთავრობის და ჯარების მდგომარეობა ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარეგნობით წყნარადაა, უფრო გასაჭირი იქნება, სანამ პირდაპირი გამოჩენილი მტრის ქვეყანაში. ლორდ კიტჩენერი ვერ გაჰბედავს კაპის ახალშენიც ისე პირწმინდად გაავერანოს და გაატიალოს, როგორც ორივე რესპუბლიკა გაათხრა. იქნება უაზრობა არ იყოს ვიფიქროთ, რომ დევეტისა და ბურების მეტის გამძლეობისათვის უფრო სასარგებლო იყოს კაპელი ბურების საიდუმლო და ჩუმი შემწეობა, სინამ ამათი აშკარა აჯანყებაა»

✿ «ნაციონალ ცაიტუნგა»-ის კორესპონდენტი იუწყება კაპშტადტიდან: «შიშის ზარი დაეცათ ყველას, როდესაც ბურები კაპის ახალშენს შემოესივნენ. ყველაზე ძლიერ შეშინდნენ ბანკები, იმ ბანკებმაც კი, რომელნიც კაპშტადტიდგან სულ 15 მილის მანძილზედ იყვნენ, კაპშტადტში გადმოიტანეს თავიანთი კასსები.

კაპის ახალშენის მთავრობამაც სამხედრო წესები შემოიღო ხელად; ასე რომ ეს წესები ეხლა შემოღებულია თითქმის მთელს ახალშენში, გარდა რამდენიმე ნავთ-სადგურისა. მაგრამ ეს სამხედრო წესები უფრო ცარიელი სიტყვით გამოაცხადეს; სად არის იმოდენა ჯარი, რომ ეს წესები დაიცვას?

კაპშტადტში 12 კანტორა გახსნეს ჯარისკაცების შესაკრებად. ყველას, ვინც კი ცოტათი მაინც იცის ცხენზე ჯდომა და თოფის სროლა, დიდის სიხარულით იღებენ და 2 მან. 25 კაპ. აძლევენ დღე-ღამეში, ყოველი ხარჯიც სახელმწიფო ექმნებათ. რკინის გზების პიონერების პოლკის ჯარის-კაცებს უფრო მეტი ჯამაგირიც ექმნებათ, რადგანაც იმათ მეტი შიში მოელით. ძლიერ ეცადნენ, მაგრამ 500 კაცზე მეტი ამ პოლკისთვის ვერ იშოვეს.

როგორც სასაცილო ამბავი, უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ დეარში ადგენენ რაზმს 10—16 წლის ბალღებისაგან, რომელთაც ქალაქი უნდა დაიცვან.»

# ახალი ამბავი

◆ პეტერბურგიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები შეუძენია მიწად-მოქმედების სამინისტროს ერთ მილიონ მანეთად. მადნების პატრონებს არაფერი ხვდებათ, რადგან მათ მილიონზე მეტი ვალი მართებიათ.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ქ. ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ არ სცნო კანონიერად თავ. ნიკო თავდგირიძის მონაწილეობა ქ. ოზურგეთის რწმუნებულთა არჩევნებში, რადგანაც მას მხოლოდ ოპეკუნის ცენზი ჰქონდა. ეს დადგენილება თავ. თავდგირიძემ განასაჩივრა სენატში. სენატს ეს საჩივარი განუხილავს და, როგორც გვწერენ, განუმარტავს შემდეგი; 1) რადგანაც საქალაქო მმართველობათა წესებში არ არის აღნიშნული რა პირობები უნდა იქმნას დაცული ამომრჩეველთა ცენზის შესახებ, მიღებულ უნდა იქნან მხედველობაში საქალაქო დებულების მუხლები, რომელნიც შეეხებიან ქალაქის სრულს თვითმმართველობას; 2) საქალაქო დებულების მე-25 და მე-26 მუხლების ძალით, ქალები, რომელთაც დადგენილი ქონებრივი ცენზი აქვთ და რომელნიც ოპეკისა და მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, ნება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსნების არჩევნებში არა თვით, არამედ თავიანთ ოპეკუნებისა და მზრუნველების შემწეობით; ამიტომ უმართ. სენატმა შესაძლებლად სცნო, რომ ოპეკუნებს ნება ჰქონდეთ ქალაქის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ამ მოსაზრებათა გამო, სენატმა გააუქმა ქუთ. საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომლით თავ. ნ. თავდგირიძეს მონაწილეობა კანონიერად არ იქმნა ცნობილი.

◆ ქ. სოხუმის მოურავის თანაშემწედ აურჩევიათ სოხუმის პოლიცმეისტერად ნამყოფი ბ. კოტლიარევსკი 16-ის ხმით, წინააღმდეგ შვიდისა.

◆ ხვალ, 12 თებერვალს, ტფილისის ქალაქის საბჭო თავის სხდომაზედ განიხილავს შემდეგს საქმეებს: 1) გაცხადებას ხმოსან მალინინისას ტფილისში საადრესო სტოლის დაარსების გამო ქალაქის საბჭოს დადგენილების ხელმეორედ გადათვალიერების შესახებ; 9) კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობას მომავალ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის საჭიროებისათვის ქალაქის სანერგის ერთი ნაწილის დათმობის შესახებ; 3) განსაკუთრებულის კომისიის მოხსენებას ქალაქის გამსესხებელ კასსების რევიზიის შესახებ და 4) ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა განცხადებას აღნიშნულის გზის ბელგიის უსახელო საზოგადოებაზედ გადაცემის შესახებ და სხვანი. საბჭოს ამ სხდომაზედ განსახილველად დანიშნულია სულ 10 საქმე.

◆ ტფილისის საბჭოს მომავალ მორიგ კრებას 19 თებერვალს წარედგინება განსახილველად გამგეობის გარდაწყვეტილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის გამოფენის გასამართავად შემწეობის აღმოჩენის შესახებ; გამგეობის აზრით, ამ საგნისთვის უნდა გადაიდვას 10,000 მანეთი.

◆ ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნული იყო ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის სხდომა, რომელიც არ შესდგა კომისიის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

◆ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველებს, რომ გარდასახადთა საგუბერნიო საკრებულომ უკვე დაამტკიცა თიანეთის მაზრის გადასახადების პროექტი. წინად მაზრის გლეხობა იხდიდა საკომლო გარდასახადს 36 ათას მანეთს, ეხლა საადგილ-მამულო გარდასახადი შეხვდა გლეხობას 16 ათასი მან.

◆ სოფ. გალიათიდან (კავკავის მაზრა) გვწერენ: „ოცდა ერთს იანვარს აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი: ერთმა აქაურმა ოსმა ჯვარი დაიწერა. მეფე დედოფალი შინ რომ მივიდნენ, იმ დროს, როცა დედოფალი შინ შეჰყავდათ, სახლის კარებიდან ჰერისკენ დაიწყეს თოფების სროლა. იმ დროს უცაბედათ ტყვია მოხვდა ერთს მაყართაგანს შუბლში და საბრალო იქვე გადიქცა. ორმა თოფიანმა, რომ დაინახეს კაცი მოკვდაო, დაჰკრეს ფეხი და გაიქცნენ შიშით. გამოძიება სწარმოებს და ჯერ ვერ გამოურკვევიათ, ვისი თოფის ტყვიით მოკვდა საბრალო კაცი“.

◆ ძველი სენაკიდან გვწერენ: „კვირას, 4 თებერვალს, აქაურ სააზნაურო სკოლაში გაიმართა სალიტერატურო საღამო ბუნდოვანი სურათებით. საღამოზე მოწვეული იყვნენ ადგილობრივი მკვიდრნი. მოსწავლეებმა 30-ამდე რჩეული ლექსები ლამაზად წაიკითხეს, 21 ბუნდოვანი სურათი აჩვენეს მასწავლებლებმა დამსწრე საზოგადოებას და აუხსნეს. დასასრულ, ერთმა მასწავლებელთაგანმა წარმოადგინა ექვსიოდე სცენა ხალხის ცხოვრებიდან. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა. სამწუხაროა, რომ დღემდე არ მოსულა აქ გალობის მასწავლებლად ახლად დანიშნული ბ. კარბელაშვილი. აგერ ორი თვე გადის, რაც ის დანიშნულია და დღემდე არა ვიცით, რათ იგვიანებს“.

◆ როგორც იუწყებიან, შორაპნის მაზრის სოფ. ხარაგაულში მამა რომანოზ დეკანოზიშვილის მეთაურობითა და საფასით უკვე დაუმთავრებიათ მშვენიერი შენობა ადგილობრივ სამრევლო სკოლის მოსათავსებლად. სკოლას ახლო მომავალში კიდეც აკურთხებენ და დაიწყებენ სწავლას. სკოლა ორს განყოფილებად იქნება თურმე მოწყობილი. მეტად სასიამოვნოა ესეთი მოვლენა და ვისურვებთ, რომ ჩვენ სწავლა-განათლებით მეტად ჩამოქვეითებულ სოფლებში მიმბაძველი აღმოჩენოდეს მ. დეკანოზიშვილის.

◆ სოფ. ნებითი ქრისტიანიდან (კავკავის მაზრა) გვწერენ: „იანვრის გასულს ერთ საწყალ მოსახლეს ყიბიზოვს, რომელსაც ორი ცხენის მეტი არა გააჩნდარა, მოჰპარეს ქურდებმა. ყიბიზოვმა მალე გაიგო და ზარების რეკვით აცნობა სოფელს. მდევარმა ცხენები დააყრევინა და ქურდები კი გაუსხლტათ ხელიდან — [illegible] ამ სოფელში ამ ჟამად წვრილ ფეხა ქურდბაცაცები ძრიელ გამრავლდნენ. ხშირათ ჰპარავენ ერთმანეთს: ცხვარს, ინდოურს, ბატს და ქათამს. ყველა ამაებს მცხოვრებნი აწერენ მამასახლისის დაუდევრობას, რომელიც, სოფლის ყველა საქმეს ძრიელ გულგრილათ ექცევა“.

◆ ქნ. ო. ვ. კაიდანოვის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესაძენად შემდგარა ამხანაგობა, რომელსაც ამ ოთხი დღის წინად ჰქონდა კრება და დაადგინა ამხანაგობის საწევრო ფულად 25 მანეთი; ეს ფული შეიძლება ერთ ჟამიერ ან ნაწილ-ნაწილად შეიტანოს წევრმა. მოხსენებულ ბიბლიოთეკაში ამ ჟამად 5,000 მან. ღირებული წიგნები და ნივთებია; ვალი ჰქონია სამკითხველოს 1000 მანეთამდე და გავალებული—2000 მანეთამდე („ნოვ. ობზ“).

◆ 8 თებერვალს, დილის 9 საათზე, ვერაზე, ბაღებთან, პოლიციამ აღმოაჩინა მოკლული კაცის გვამი. როგორც სჩანს, მოკლული მუშა უნდა იყოს სომეხი, ან აისორი. მას მუცელში და ხელებზე აქვს ჭრილობები. ჰფიქრობენ, რომ ეს კაცი სხვა ადგილას არის მოკლული და შემდეგ იქ მიუტანიათ, რადგანაც სისხლი ვერსად აღმოაჩინეს. ჯიბეში მოკლულს სომხური ხელთ-ნაწერი ლექსი და რაღაცა ანგარიში უნახეს. მოკლულის ვინაობა ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ ზინიკერის აგურის ქარხანაში, სადაც ამ დღეებში მიწა ჩამოინგრა და მუშები დააშავა, ტეხნიკოსებს აღმოუჩენიათ, რომ არ ყოფილა მიღებული საჭირო ზომები წესიერ მუშაობისათვის. ქალაქის გამგეობას შეუჩერებია ქარხნის მუშაობა. ხვალ სასამართლოს და პოლიციის მოხელენი დაათვალიერებენ ქარხანას, რათა გამოარკვიონ მუშაობის ზედამხედველთა და ქარხნის პატრონის დანაშაულობა.

◆ ახალქალაქის მაზრაში, როგორც ადგილობრივს გაზეთებს ატყობინებენ, 3 თებერვალს, დილის 5 საათზე და 12 წუთზედ, საკმაოდ შესამჩნევი მიწის ძვრა ყოფილა.

◆ როგორც „ნოვ. ობოზ“,-ს შეუტყვია, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. იანოვსკი რჩება პეტერბურგში, სანამ ხელს არ მოაწერს ყველა ოქმებსა და ჟურნალებს იმ კომისიისას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საშუალო სასწავლებლების რეფორმის საქმე.

◆ ხუთშაბათს, 8 თებერვალს, პოლიციის მესამე ნაწილში გრაფის ქუჩაზე ფარსადანოვის სახლის ახლო მიდიოდა ქ. გორის მცხოვრები ქეთევან კარბესოვისა 50—60 წლისა, რომელიც ისე შეუძლოდ შეიქნა, რომ მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი; საბრალო ქალი გზაზედვე გარდაიცვალა.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში ხუთშაბათს, 8 თებერვალს, ელისაბედის ქუჩაზე მე-2 გილდის ვაჭრის ქვრივის სოფიო ბარამოვის სახლს რკინის ფეჩიდან გაუჩნდა ცეცხლი; ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყვეს და ჩააქრეს შინაურის საშუალებით. ზარალი მცირეა; ბარამოვის სახლი დაზღვეული ყოფილა ტფილისის დამზღვევ საზოგადოებაში 20,000 მანეთად.

◆ ხუთშაბათს, 8 თებერვალს, პოლიციის მე-6 ნაწილში ლოთაძის სახლში მცხოვრებ ტფილისის მოქალაქეს გიგო მარტიროზოვის 4½ წლის ბავშვს თამაშის დროს მოჰკიდებია პერანგზე ცეცხლი და ისე შემოსწვია გარს ხორცი, რომ საჭირო შექმნილია მისი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნა.

◆ 9 თებერვალს ქალაქის მე-5 ნაწილში არამაკლისოვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მალევე იქმნა ჩაქრობილი. ზარალი მცირეა.

◆ ტფილისის მცხოვრებს ქ-ნ კ—ს განუცხადებია პოლიციაში, რომ მისი შვილი, 11 წლის ბავშვი, თავის 8 წლის ამხანგით გაქცეულა ამერიკაში წასასვლელად. პოლიციამ საშუალება იხმარა ბავშების დასაჭერად.

# პროვინცია

**სოფ. კარდენახი** (სიღნაღის მაზრა). თებერვლის 4 სოფ. კარდენახის წიგნთ-საცავ-სა-

მკითხველთს წევრთა წლიური კრება მოხდა. ეს სამკითხველო-წიგნთ-საცავი ერთად-ერთია მთელს მაზრაში და ამ მხრივ თვით ქალაქმა სიღნაღმაც ქედი უნდა მოიხაროს და პირველობა სოფელს დაუთმოს. კრებაზე წევრთა საკმაო რიცხვი დაესწრო და ანგარიშიც ერთხმად იქმნა შეუცვლელად დამტკიცებული. კარდენახში სამკითხველო 1897 წლიდან არსებობს და დღევანდლამდე კარგათაც მიდის მისი საქმე. წარსულ წელს წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის საკუთარი შენობაც იქმნა შეძენილი, რომელსაც 224 მან. დასჭირდა და ამას იქით სრული შემოსავალი მთლად წიგნების გამოწერას მოხმარდება. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წარსულ საანგარიშო (1 მარტიდან 1900 წ. 1 იანვრამდე 1901 წლისა) წელს ჰყოლია 41 წევრი ფასიანი, რომელნიც წელიწადში იხდიან 2 მანეთს: დანარჩენ გლეხთა და მოსწავლე ყმაწვილებს კი ფუფასოთ უსარგებლნიათ წიგნებით. საანგარიშო წელში წიგნთ-საცავ-სამკითხველოში ყოფილა 1057 ცალი წიგნი, აქედან ქართული წიგნი ყოფილა 538 ცალი და რუსული—509 ცალი. სამკითხველოს შეუძენია ყველა ქართული გამოცემა, რომელიც კი როდისმე დასტამბვას ჰღირსებია და რომლის შეძენაც შესაძლებელი ყოფილა. სამკითხველოს მოსდის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და რუსული ადგილობრივი გაზეთები და რამდენიმე ჟურნალი. საანგარიშო წელს ჰყოლია მკითხველი სულ 2270 სული: 1444 ქალი და 826 კაცი. ორთა შუა რიცხვით თვეში უკითხნია წიგნი—144 ქალს და 83 კაცს; დღეში კი 18 ქალს და 10 კაცს. ამავე დროს სახლში წაუღიათ წასაკითხათ ყოველ დღე ქართული—24 ცალი და რუსული—10 ცალი, თვეში 191 ცალი ქართული წიგნი და 88 ცალი რუსული წიგნი. სულ კი საანგარიშო წლის განმავლობაში გაუტანიათ წასაკითხათ 2735 ცალი: 1911 ც. ქართული და 824 ც. რუსული. საანგარიშო წელს წიგნთ-საცავ სამკითხველოს შემოსავალი ჰქონია სულ 399 მან. 44 კაპ., გასავალი 342 მან. 28 კაპ.,—ასე რომ ამ წლისთვის გადარჩენია 57 მან. 16 კ. ნაღდი. წევრების გადასახადიდან შემოსულა 77 მან., წარმოდგენიდან 73 მან. 64 კ., დანარჩენი 248 მან. 80 კაპ. სულ კერძო შემოწირულება ყოფილა. მომავალ საანგარიშო წლისთვის კრებამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელია შემოსავალი წევრებისაგან 88 მან., 57 მან. 16 კაპ. ნაღდი—სულ 137 მან. 16 კაპ. მხოლოდ ხარჯი მთელის 161 მან., მაშასადამე წლის ბოლოს დააკლდება 23 მან. 84 კაპ.; მიიღო რა კრებამ ეს გარემოება მხედველობაში, ამოირჩია რამდენიმე საპატიო პირი და დაავალა მათ, როგორადაც წინა წლებში, მიიღონ შრომა და ეს დანაკლისი ფული შეაგროვონ წარმოდგენის გამართვით თუ კერძო შემოწირულობით იქნება. კრებამ აგრეთვე გადაათვალიერა წარსული წლის კომისიის წევრთა ნამოქმედარი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ შენობა აეგოთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის და ამისთვის დანაკლისი ფული 80 მან. ეშოვნათ. აღმოჩნდა, რომ ამ პირთ დავალება სრულებით უნაკლულოდ აუსრულებიათ: შენობაც აუგიათ, საჭირო ფულიც შეუგროვებიათ და ზედ მეტი 57 მან. შემოუვიათ, რომელიც ამ წლისათვის გადიდო. ამისთანა კეთილ-სვინდისიერად თავიანთ დავალების შესრულებისათვის, კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა კომისიის წევრთ: კნ. ქ. ვ. აფხაზისას, ან. ბარ. ალ. ვაჩნაძისას და თავ. ივ. გ. ვაჩნაძეს და სამკითხველო-წიგნთ-საცავის გამგე კნ. ელ. ილ. აფხაზისას დაუღალავ-გულმოდგინე შრომისათვის. ნათქვამია: ქრისტე ღმერთი რომ შენი შემწე იყოს, გუთნის კვალი არ დაგიბრუნდებაო და ამ კარდენახის წიგნთ-საცავ სამკითხველოს, ვიდრე ამისთანა პატიოსანი პირნი ჰყავსან მოთავეთ, როგორც აღნიშნული პირნი არიან, საქმე თანდათან გაუმჯობესდება და გაუკეთესდება. როგორც მკითხველიც მიაქცევდა ყურადღებას, წიგნები გაუტანიათ და უკითხნიათ ქალებს (1444) ორჯელ მეტს რიცხვით კაცებზე (826). წევრნიც მოშეტებულნი ქალები არიან და დასწრებითაც 26 ქალი დაესწრო და 6 კაცი.

წარსულ 1898/9 წლის ანგარიშების შედარებამ საანგარიშო 1900/1 წლის ანგარიშიდან დაგვანახვა, რომ წევრთა რიცხვსაც უკლია და წიგნთ-კითხვის სურვილსაც.

| | 1898/9 წ. | 1900/1 წ. |
|---|---|---|
| წევრი | 42 | 41 |
| მკითხველი | 2665 | 2270 |
| ქალი | 1984 | 1444 |
| კაცი | 681 | 826 |
| გაუტანიათ წიგნი | 3615 ც. | 2735 |
| ქართული | 2840 | 1911 |
| რუსული | 775 | 824 |

მხოლოდ კაცების მკითხველთა რიცხვს უმატნია (145), 1898/9 წელს 681 სული კაცი, 1900/1 წ. 826 კაცი. ქალებისას კი დაუკლია 1898/9 წ. 1984 სული ქალი, 1900/1 წ. 1444 სული ქალი. ამავე ხანში, ესე იგი უკანასკნელ საანგარიშო წელს, ქართული წიგნი 929 ცალით ნაკლები გაუტანიათ წასაკითხად, რუსული კი 49 ცალით მეტი წაუღიათ და წაუკითხნიათ. ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ ქართული წიგნები ცოტა-და ემატება სამკითხველოს და მკითხველსაც უკვე გადაკითხული აქვს წინეთ.

გ.

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** ,,ორი გმირი'', ისტორიული დრამა 3 მოქმ. ვ. გუნიასი,,, დატრიალდა ჯარა'' კ. ყიფიანისა,—ვ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი. ვ. გუნიას ,,ორი გმირი“ ფრანსუა კოპპეს „Pour la couronne“-იდან არის გადმოკეთებული, თუ გადმოკეთებას მოქმედების ადგილისა და მომქმედ პირების სახელების გამოცვლას ჰქვიან. თვით კოპპეს პიესა, როგორც ხელოვნური ნაწარმოები, ერთობ სუსტია; მის ღირსებას შეადგენს მხოლოდ კარგის ლექსით დაწერილი სადეკლამაციო მონოლოგები, რომელთა მეტად ხელოვნური წაკითხვაა საჭირო, რომ მსმენელზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინოს. იგი დაწერილია ,,comedie francaise''-ის გაწვრთვნილ არტისტებისათვის და მხოლოდ მათს შესანიშნავ დეკლამაციას შეუძლია დაჰფაროს ხელოვნურ სინამდვილეს მოკლებულ პიესის ნაკლი. აქედან ადვილი დასასკვნელია, თუ რას წარმოადგენს ვ. გუნიას ,,ორი გმირი'': ორიგინალის ნაკლს მოემატა ენისა და ლექსის ულაზათობა. რაც უნდა იყოს, პიესას ერთი ღირსება აქვს: მის მოქმედების ადგილი და მომქმედი პირები მოხერხებულად არის შეცვლილი: კოპპეს პიესაში სერბია და სერბიელების ოსმალებთან ბრძოლაა გამოყვანილი. ,,ორ გმირში'' კი გურია და გურულების ბრძოლა ოსმალებთან კარჩხალის მთაზე. მოქმედების ეს გარეგანი ჩარჩო, თუ შეიძლება ეგრე ითქვას, იმდენად ხერხიანი და გურიის ისტორიულ წარსულის შესაფერისი არის პიესაში, რომ ხანდახან მაყურებელს ავიწყდებოდა ჩარჩოში მოთავსებულ შინაარსის შეუფერებელი ხასიათი.

ვ. გუნია მთავარ-სარდლის ლევან გურიელის როლს, ზოგიერთა ადგილების გარდა, (მაგ. ტრფიალების სცენა დუდუხანთან) მშვენივრად ასრულებდა: ქალარა მორეული გმირი, მტერთან მუდამ მედგრად მებრძოლი, პატივ-მოყვარე, ფიცხი და მქუხარე, როგორც ეს ნამდვილ გურულს შეეფერება. აი—ის ლევან გურიელი, რომელიც წარმოგვიდგინა გუნიამ ხუთშაბათის წარმოდგენის დროს. გრიმიც საუცხოვო ჰქონდა (საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ხუთშაბათის წარმოდგენის გარეგანი მოწყობილობა-ტანისამოსები, დეკორაციები და სხვა—ძალიან კარგი იყო).

ბ. ალექსი-მესხიშვილი ახალგაზდა გმირის—ტარიელის, როლს თამაშობდა: მისის წარმოდგენით, ტარიელი ფიზიკურადაც და სულიერადაც ნაზი და მეტად მგრძნობიარე ადამიანია, ფერ-მიხდილი და ნარ-ნარი მიხვრა-მოხვრის პატრონი. როცა იგი სცენაზე გამოვიდოდა, მაყურებელი მისგან ჰამლეტისებურ მონოლოგებს მოელოდა. მაშინაც კი, როცა მოღალატე მამას ჰკლავს, მესხიშვილის ტარიელი არ ღალატობს თავის სინაზეს და თავდაჭერილობას. თუ ტარიელი მართლა ასეთი პიროვნება იყო, მაშინ მესხიშვილის თამაში უნაკლულო იყო; მაგრამ მისი ტარიელი რაღაც ეკზოტიურ არსებას ჰგავდა პიესაში მოყვანილ გარემოებათა შორის: მაყურებელი ვერ მიმხვდარიყო, სად გურია და გურულები, მერე მე-XVII-ე საუკუნეში, და სად ჰამლეტისებური პიროვნება.

დანარჩენ მოთამაშეთ არა უშავდათ-რა, გარდა იმედაშვილისა (აფიშით კ. შათირიშვილს ეთამაშნა ჯაშუშ აფხაზის როლი). აღსანიშნავია ურუშაძის თამაში მწყემსის როლში.

„დატრიალდა ჯარა“-ს შესახებ ვერას ვიტყვით *), რადგანაც ვერას გზით ვერ მოვახერხეთ თეატრის დარბაზში შესვლა. წარმოუდგენელია ის უწესობა, რომელიც ქართულის წარმოდგენების დროს ხდება ხოლმე. თუ გაგიწყრა ღმერთი და ფოიეში გამოხველი ანტრაქტის დროს, იმედი აღარ უნდა გქონდეთ დარბაზში უკან დაბრუნებისა, თუ ჰერკულესის ძალ-ღონე არა გაქვთ ან ძველის წიგნების ფერიასავით უჩინრად გადაფრენა არ შეგიძლიანთ, ისე გაჭედილია ხალხით ყველა დარბაზში შესასვლელი კარები.

წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო: დარბაზში ტევა არ იყო. მობენეფისეს ალტაცებულის ოვაციებით მიეგებნენ და წარმოდგენის გათავების შემდეგ ახალგაზდობამ ხელით მიიყვანა იგი ეტლამდე.

*) ამბობენ, კარგი იყოო.

# საღამოს დეპეშები

10 თებერვალი

**ბერლინი.** „ნორდ დეუჩე ცაიტუნგ“-ში სწერენ, რომ ინგლისის მეფეს განზრახვა აქვს წავიდეს ამ დღეებში გერმანიაში. ყველამ კარგად იცის, რომ მეფე თავისი ავგუსტოესი ავადმყოფი დის სანახავად მიდის. თუმცა ამ გამგზავრებას წმინდა ოჯახობრივი ხასიათი აქვს, მით მაინც ზოგიერთი გერმანული გაზეთი ცდილობს მას პოლიტიკური მნიშვნელობა მიაწეროს, რათა ამით საბუთი მეცეთ გესლიანად გაჰკიცხონ და შეურაცხჰყონ თვით გერმანიის იმპერატორი.

**კაპშტადტი.** ოფიციალური ცნობა. ერთი კვირის განმავლობაში 20 კაცი გახდა ავად შავი ჭირით; ამათგან ერთი ევროპიელია და 19 მკვიდრი: სამი მოკვდა; ამას გარდა 104 ადგილობრივი მცხოვრები იმყოფებოდა ექიმების მხედველობის ქვეშ.

**პარიზი.** პალატა მემკვიდრეობაზე გადასახადის რეფორმის პროექტს არჩევს. ერთ დეპუტატთაგანს წინადადება შეაქვს, რომ იმ მემკვიდრეობას, რომელიც სამ მილიონზე მეტი ჰღირს, პროგრესსიული გადასახადი დაედვას. კლოტცი თხოულობს, რომ ეს წინადადება მიიღონ, როგორც საგანგებო კანონის პროექტი. მიუხედავად კალიოს წინააღმდეგობისა, პალატამ მიიღო კლოტცის წინადადება.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ვილიამ რედმონდი ჰკითხულობს, გერმანიის იმპერატორი ხომ არ დაჰპირებია ინგლისის მთავრობას შუამავლობის გაწევას ბურების ომის გასათავებლადაო. კრანბორნი უარსა ჰყოფს. რედმონდი კითხულობს შემდეგ, საჭიროდ სთვლის, თუ არა მთავრობა—სთხოვოს იმპერატორს შუაკაცობა. სპიკერი შენიშვნას აძლევს რედმონდს. რედმონდის კითხვა უპასუხოდ რჩება.

**პარიზი.** სენატმა ერთხმად დაამტკიცა სამხედრო ნავთ-სადგურების შეიარაღებისა და საოპერაციო ბაზისების დაარსების პროექტები.

**სან-ფრანცისკო.** ნიუ-იორკის საზოგადოების „პაციფიკ მაილ სტიმერის“ გემი „სიტი რიოჟანეირო“, რომელიც ჰონკონგიდან 9 იანვარს გამოვიდა და 17 იანვარს იოკაგამაში იყო, გუშინ, საღამოთი, სან-ფრანცისკოს ნავთ-სადგურს მოუახლოვდა, მაგრამ ნისლისა და [illegible] ლის 5 საათამდის ნავთ-სადგურში ვერ შებედა, შემდეგ შევიდა ნავთ-სადგურში, მაგრამ ბრაგას დაეჯახა და დაიღუპა. გემზე დიდი არეულობა მოხდა. ჩამოუშვეს ნავები, მაგრამ ბევრმა ველარაფერი გაიგო შიშისაგან და წყალში ჩაცვივდნენ. რამდენი კაცი დაიხრჩო, არ იციან, რადგანაც დამხრჩვალთა შორის არის ხაზინადარიც, რომელსაც ჰქონდა სია მგზავრებისა. ამბობენ, გემზე 29 მგზავრი იყოო პირველ კლასისა, მათგან 7 ევროპიელი; 150 პალუბის მგზავრი—იაპონელი და ჩინელი—და 140 კაცი ეკიპაჟი.

**ლონდონი.** გიკს ბიჩმა მისდამი მიმართულ კითხვაზე უპასუხა, რომ მთავრობას აქამდის დახარჯული აქვს 81,500,000 გირვანქა სტერლინგი და რომ ყოველ კვირა იხარჯება 1,250,000 გირვ. სტერლინგი. ბროდრიკი აცხადებს, ამ ხანებში მოხდენილ გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ 20 ათასი მეომარი ბურია დარჩენილი. იანვარში 16,000-ზე მეტი დაუტყვევებიათ და ბოლოს დროს ამ რიცხვს კიდევ მოემატაო.

**ლონდონი.** დეაარიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ორანჟეს მდინარემ, რომელიც ამ ბოლო ხანებში აღელვებული მოდიოდა, იკლო და ამან საშუალება მისცა კაპის ახალშენში შესეულ ბურებს მდინარეზე გადასულიყვნენ და ორანჟეს რესპუბლიკაში დაბრუნებულიყვნენ. ნოქსი და ინგლისის სხვა სარდლები სდევნიან დევეტს. უკანასკნელი სცდილობს პრისკისაკენ დაიწიოს.

**პეკინი.** პეკინიდან აღმოსავლეთით, სადაც იაპონელებს უჭირავთ თვალ-ყური, ავაზაკობამ ლიერდება. ვალდერსეემ წინადადება მისცა იაპონელებს. მოსპონ ავაზაკობა და ამიტომ იქ გუშინ გაიგზავნა იაპონელთა რაზმი.

**ვაშინგტონი.** გეჯის თქოვნით გარეშე საქმეთა სამინისტროში შემუშავებულ იქმნება გასაფრთხილებელი ნოტა რუსეთის მიმართ. ნოტაში ნათქვამია, რომ შაქარზე მხოლოდ დროებით დაიდო ბაჟი და თხოვნაა გამოთქმული, რომ რუსეთმა უარი თქვას შემავიწროებელ სადამოჟნო გადასახადებზე, იმ დრომდე, სანამ კანონი გარჩეულ იქმნება სასამართლო უწყებისაგან.

პეტერბურგის ბირჟა 9 თებერვალს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,90 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,90 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,30 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,80 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | $37{,}37^{1/2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $5^{3}/_{4}$—$7^{1}/_{4}$% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ ი ნ ი თ ი. | | |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | $96^{1}/_{8}$ |
| $4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $99^{3}/_{4}$ | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $331^{1}/_{2}$ | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 291 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | — | — | 217 |
| $3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | — | — | 89 |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — | — | $93^{1}/_{8}$ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | $86^{1}/_{2}$ | — | — |
| ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | 100 | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — | — | $93^{3}/_{8}$ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 93 | — | — |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.